



აკაკი შანიძე - 132

პროგრამა

და

თეზისები

2019 წლის 26 თებერვალს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მართავს აკადემიკოს

აკაკი შანიძის

ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომას

დასაწყისი 11 საათზე

მისამართი: თსუ, I კორპუსი

(აუდიტორია N 212)

რეგლამენტი 15 წუთი

შესავალი სიტყვა - დარეჯან თვალთვაპე

1. უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა -კრებულის პრეზენტაცია, წარადგენს რამაზ ქურდაძე
2. მზექალა შანიძე - ერთი მხატვრული სახე დავითის ისტორიკოსის ტექსტში და მისი პარალელები
3. რუსუდან ზექალაშვილი - აკაკი შანიძე გრამატიკული კატეგორიის შესახებ
4. სალომე ომიადე - ცნობები გლუტონიმთა შესახებ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“
5. დამანა მელიქიშვილი - იოანე პეტრიწის პედაგოგიური მეთოდისათვის
6. მარინე ოდიკაძე - ფსალმუნთა წიგნის ერთი ძველნაბეჭდი გამოცემა
7. გიული შაბაშვილი - ზმნური ლექსიკური ჯგუფებისა და ლექსიკური ასპექტის მიმართება ქართულ ენაში

რამაზ ქურდაძე

უნივერსიტეტის იდეა და ქართველურ ენათა კვლევისა და სწავლების მნიშვნელობა – კრებულის პრეზენტაცია

წინამდებარე კრებული მომზადდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში და მიეძღვნა კავკასიაში პირველი ქართული უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს. მის შექმნაში ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მონაწილეობდნენ „ქართული ფილოლოგიის“ მიმართულების საბაკალავრო და „ქართველური ენათმეცნიერების“ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები. კრებულში მოცემული მასალები ნათლად წარმოაჩენს საუნივერსიტეტო იდეის განხორციელებაში ქართველური ენების კვლევისა და სწავლების მნიშვნელობას. კრებული სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებისაა. იგი განკუთვნილია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, ფართო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის.

კრებული, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მეორედ გამოსცა თსუ გამომცემლობამ. პირველი გამოცემის პრეზენტაცია ჩატარდა გასულ წელს: ა. თსუ-ში მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში; ბ. ჰააგაში (ნიდერლანდების სამეფოში), საქართველოს საელჩოში ქართული ენის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.

მზექალა შანიძე

ერთი მხატვრული სახე დავითის ისტორიკოსის ტექსტში და მისი პარალელები

მოხსენებაში განხილულია ტექსტობრივი მონაკვეთი დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან: „... ფესვსა[გან] მცირისა ყოვლისა ქსოვილისა ვითარებასა საცნაურ-ყოფად ვმეცადინობთ“.

დაზუსტებულია ფესუ სიტყვის მნიშვნელობა ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების შესავლისა და თარგმანების ძირითადი ტექსტის მიხედვით. გამოთქმულია ვარაუდი მეტაფორული გამოთქმის შესაძლო წყაროს შესახებ.

რუსუდან ზექალაშვილი

აკაკი შანიძე გრამატიკული კატეგორიის შესახებ

გრამატიკულ კატეგორიას უწოდებენ ერთგვაროვან გრამატიკულ მნიშვნელობათა ერთობას ან ურთიერთგამომრიცხავ და ურთიერთდაპირისპირებულ მნიშვნელობათა ჩაკეტილ სისტემას. აკაკი შანიძის შრომებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მსჯელობა გრამატიკული კატეგორიის შესახებ, რომელიც საფუძვლად დაედო მთელ მის მოძღვრებას. მეცნიერის განმარტებით, გრამატიკული კატეგორიის გამოსაყოფად აუცილებელი პირობაა გრამატიკული საშუალების არსებობა. ამდენად, გრამატიკული კატეგორია არის ნამდვილი და მოჩვენებითი: ნამდვილია ის, თუკი ფორმა და შინაარსი შესაბამისობაშია. როცა ფორმა შინაარსისგან ანუ ფუნქციისგან დაცლილია, კატეგორია მოჩვენებითია.

აკაკი შანიძეს სახელებში გამოყოფილი აქვს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები, ზმნებში – პირის, რიცხვის, დროის, კილოს, მწკრივის, ასპექტის, გვარის, ქცევისა და სხვ. მეცნიერი მათ აჯგუფებს უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად. ზმნის კატეგორია, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი და რთული: მაგალითად, მწკრივის კატეგორია რთულია, რადგან მოიცავს უღლების ყველა კატეგორიას: პირს, დროს, კილოს, გზისობას, აქტს, თანამდევრობას.

თუკი ამა თუ იმ ფორმას საპირისპირო ცალი არა აქვს, ასეთ შემთხვევაში ა. შანიძე მას უწოდებს უკატეგორიო ფორმას ანუ ისეთს, რომელსაც აკლია ოპოზიციური ცალი (ე. წ. უპირო, უასპექტო, უგვარო ან უქცეო ზმნები). მორფოლოგიურ ოპოზიციასთან დაკავშირებით ქართულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, აქ არის არა სემანტიკური თვალსაზრისით განეიტრალებული ფორმები, არამედ სემანტიკური შეზღუდვები.

სალომე ომიამე

ცნობები გლუტონიმთა შესახებ აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“

აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ენობრივ მოვლენათა საანალიზოდ თუ დასამოწმებლად მოხმობილი მაგალითები საინტერესო ცნობებს შეიცავს არაერთი გლუტონიმის შესახებ.

სახელთა ბრუნებაზე მსჯელობისას ბრუნების სამ ტიპს შორის განაწილებულ თავისთავად სახელთა შორის გლუტონიმები ჭარბობს, სახელდობრ, გვხვდება **საკვები პროდუქტების, კერძებისა და მათი ინგრედიენტების სახელწოდებები**: ჭარხალი, ლობიო, ნიორი, პამიდორი (პამიდვრის წვენი / პამიდორის წვენი), ტყემალი, რძე, მაწონი, ერბო, დო, ატამი, ჭერამი, მსხალი, ყურძენი, მაცვალი, ფორთოხალი, წვენი, წყალი, ვეძა, ჩაი, მაჭარი, ღვინო, ხინკალი და სხვ.; **გლუტონიასთან დაკავშირებული ქრონოტოპული ერთეულები**: ვახშამი, ბოსტანი, ბუხარი, თონე, ფურნე, მარანი, დუქანი, ბაზარი; **ჭურჭლეულობა და სამზარეულოს სხვა ნივთები**: ჭიქა, დანა, სტაქანი, სამოვარი, ქოთან, საცერი, კოკა, სურა, ლიტრა, ჯაგანი, კიდობანი, გოდორი, წალო; **გემოს მახასიათებლები**: მწარე, მლაშე, ცხარე და სხვ.

ცხადია, დასახელებული ერთეულები გრამატიკული თვალსაზრისით არის შერჩეულ-განხილული, კერძოდ, ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით თითოეული მოქცეულია ბრუნების ამა თუ იმ ტიპში. მაგრამ, თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის სასწავლებლად აკაკი შანიძე გლუტონიმებს უფრო ხშირად მიმართავს, ვიდრე სხვა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების ერთეულებს, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზოგად დისკურსში მათი გამოყენების სიხშირესა და, შესაბამისად, მათი, როგორც მაღალი კომუნიკაციური რელევანტურობის მქონე ლექსემების, საგანგებო კვლევის საჭიროებას.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ იმ ცნობებზე, რომლებიც „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ სხვადასხვა პარაგრაფშია გაბნეული და ზოგიერთი გლუტონიმის („კუჭმაჭი“, „ქონა-ქონა“, „პილპილი“, „ჩაიდან“, „ყავადანი“, „ყავახანა“, „ლუდხანა“, „ქულბაქი“, „ტაგანი/ტაგანა“, „ჭამა – მირთმევა“...) სტრუქტურას, სემანტიკასა და ფუნქციონირებას უკავშირდება.

დამანა მელიქიშვილი

იოანე პეტრიწის პედაგოგიური მეთოდისათვის

1. იოანე პეტრიწი ცნობილია, როგორც შუა საუკუნეების დიდი მოაზროვნე-თეოლოგი, პლატონური ფილოსოფოსი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პედაგოგიური ღვაწლის შესწავლა, რისთვისაც შესანიშნავ მასალას იძლევა პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის

საფუძვლების“ მისეული თარგმანი და განმარტება-კომენტარები, რომლებიც სხვა სასწავლო კომპენდიუმებთან ერთად შედიოდა იყალთო-გელათის აკადემიური სახელმძღვანელოების ნუსხაში.

2. იოანე პეტრიწის განმარტებანი პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებისა“ თავისი ფორმით, ენითა და სტილით წარმოადგენს ლექციების ციკლს, სამაგალითო სალექციო კურსს „პლატონური ფილოსოფიის“ ძირითადი მეტაფიზიკური პრობლემების გარშემო. ეს ნაშრომი არის უმაღლესი ფილოსოფიის - თეოლოგიის სახელმძღვანელო, დანიშნული მსმენელთათვის, მოსწავლეთათვის, მათ განსასწავლად ელინურ ფილოსოფიაში და დასაუფლებლად იმ სააზროვნო-ცნებითი აპარატისა, რომელიც პლატონისა და არისტოტელეს და მათი კომენტატორების მიერ იყო დამუშავებული საუკუნეების მანძილზე.

3. პეტრიწისეული „განმარტებანი“ თავისი აგებულებით, მსჯელობისა და ლოგიკური დასაბუთების წარმართვით, სწავლების გამართული და დახვეწილი მეთოდოლოგიით, მოსწავლე-მსმენელისადმი განსაკუთრებული ყურადღებითა და ემოციური დამოკიდებულებით, განსახილველი ურთულესი მეტაფიზიკური საკითხებისადმი ცოცხალი და გადამდები ინტერესით - პედაგოგიური თვალსაზრისით სამაგალითო სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

4. მოხსენებაში წარმოდგენილია კონკრეტული, სწავლების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით საყურადღებო მაგალითები (მოსწავლის დიალექტიკური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით, მსჯელობები შემეცნების მეთოდების შესახებ და სხვ.), რომელთა აქტუალიზაცია საჭიროა თანამედროვე პრაქტიკულ პედაგოგიკაში.

მარინე ოდიკაძე

ფსალმუნთა წიგნის ერთი ძველნაბეჭდი გამოცემა

1. ერთ ქართულ სოფელში ინახება ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი ფსალმუნთა ძველი წიგნი, რომელიც შეიცავს გ-ტმბ (3-362) გვერდებს. მისი სახელწოდება, დაბეჭდვის ადგილი და თარიღი ან გამოცემასთან დაკავშირებული სხვა სახის ცნობები არსად არ იკითხება, რადგან ამ ხასიათის მასალა, ჩვეულებრივ, ძველნაბეჭდი წიგნების დასაწყისსა და ბოლოშია ხოლმე განთავსებული, აღნიშნული ეგზემპლარი კი თავბოლონაკლულია; 1 ფურცელი სდე-სდვ (265-266) გვერდებით აკლია შიგნითაც. როგორც მოგვიანებით გვიჩვენა წიგნის სხვა, სრული ცალების გაცნობამ, აქ დასაწყისში არ გვაქვს დაუნომრავი თავფურცელი, ბოლოში კი - ორი ფურცელი ტდგ-ტდვ (363-366) გვერდებით. გამოდის, რომ სოფელში დაცულ წიგნს სულ 4 ფურცელი აკლია.

2. გამოცემაში შეტანილია ფსალმუნთა გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტი, რომელსაც მოსდევს ცხრა გალობა. ფსალმუნებს წინ უძღვის რამდენიმე თხზულება, ანუ, როგორც მათ უწოდებენ, „დანართები“, გალობათა შემდეგ კი წარმოდგენილია „გამოკრებული

ფსალმუნ“, „წარკითხვა მოსახსენებელთა“ და „წესი, თუ ვითარ ჯერ-არს ათორმეტთა ფსალმუნთა თვსად კითხვა“, რომლის მხოლოდ დასაწყისიდაა დარჩენილი წიგნში ბოლო ფურცლების უქონლობის გამო.

3. ტნდ (354) გვერდზე „ცოცხალთა მოსახსენებელში“ დასახელებული რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე პავლეს ძის, მეფობის პერიოდისა (1801–1825 წწ.) და მთელ რიგ სხვა გარემოებათა გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ წიგნი დაბეჭდილი უნდა იყოს 1821 წელს მოსკოვის სინოდის სტამბაში.

4. ჩვენს ვარაუდს ამყარებს 1821 წელს მოსკოვში გამოცემულ ფსალმუნთა რამდენიმე სხვა ეგზემპლარის მოძიება-შესწავლა. მათგან სამი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (მოგვეცა მხოლოდ ორი მათგანის ნახვის შესაძლებლობა), სამი – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სამი – საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, ერთი – კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და ერთიც – ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში. ჩვენ მიერ ნანახი თერთმეტი ეგზემპლარიდან (სოფელში დაცული ეგზემპლარის ჩათვლით) მხოლოდ ოთხია სრული.

5. მოხსენებაში ასევე განვიხილავთ ზემოხსენებული ეგზემპლარებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, მათ შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებს, მათი ადრინდელი მფლობელების მნიშვნელოვან მინაწერებსა და სხვა საყურადღებო საკითხებს.

გიული შაბაშვილი

ზმნური ლექსიკური ჯგუფებისა და ლექსიკური ასპექტის მიმართება ქართულ ენაში

ლექსიკური ასპექტი არის სემანტიკური კატეგორია, რომელიც უკავშირდება ზნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობის ფორმას. ლექსიკური ასპექტი, ერთი მხრივ, იკვეთება გრამატიკულ ასპექტთან, დროსთან, ზმნიზედურ მოდიფიკაციებთან, სინტაქსურ და სემანტიკურ რაოდენობრიობასთან (კვონტიფიკაცია), არგუმენტების (აქტანტების) სტრუქტურასთან, ხოლო, მეორე მხრივ, უკავშირდება ლექსიკურ, სემანტიკურ და სინტაქსურ ინტერფერენციას და თამაშობს ერთ-ერთ წამყვან როლს დისკურსის დროულ განვითარებაში. გარდა ამისა, მოქმედების სახის შინაარსობრივი მახასიათებლების ანალიზისას აუცილებელია ზმნური სემანტიკური ჯგუფების მონაცემების გათვალისწინებაც და ზმნური პრედიკატებისა და მათი შესაძლო კომბინაციების შესწავლა. მოხსენება მიზნად ისახავს ქართული მოქმედების აღმნიშვნელი ზმნების ლექსიკური ასპექტური მახასიათებლების გამოვლენას შესაბამისი კონტექსტებისა და ზმნიზედების გათვალისწინებით.